დამტკიცებულია 2011 წლის 24 თებერვლის აკადემიური საბჭოს №48-ე სხდომის ოქმით
ამ წესით გაუქმებულია ყველა რედაქცია რომელიც არსებობდა უნივერსიტეტში 2011 წლის 24 თებერვლამდე

შეტანილია ცვლილება 2012 წლის 20 იანვრის აკადემიური საბჭოს № 59 სხდომის ოქმით

ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა შეფასებისა და კრედიტების მინიჭების წესი

1.ეს წესი არეგულირებს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში შეფასების, კრედიტების მინიჭების, კურსის გამეორების და/ან დამატებით გავლის საკითხს. ამ წესის მე-8 პუნქტი, რომელიც არეგულირებს კურსდამთავრებულთათვის წარჩინების მინიჭებას, არ ვრცელდება 2006-2007 სასწავლო წლამდე მოქმედი პროგრამების კურსდამთავრებულებზე. მათთვის მოქმედებს რექტორის 2007 წლის 25 მაისის #03-142 ბრძანება.

2.უნივერსიტეტში სტუდენტების შეფასება მოხდეს ასქულიანი სისტემით სწავლების ყველა საფეხურსა და ყველა კურსზე. 100 ქულა წარმოადგენს სტუდენტის მაქსიმალურ საბოლოო შეფასებას კონკრეტული სასწავლო კურსის გავლის შემთხვევაში.

3.სტუდენტის შეფასებისას გამოიყენება არანაკლებ 3 კომპონენტისა (შეფასება არ ითვალისწინებს დასწრების კომპონენტს). შეფასების საბოლოო კომპონენტის ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს 30 ქულას.

4.კრედიტის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ 51-დან 100 ქულამდე დაგროვება. 41-დან 50 ქულამდე დაგროვების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა საბოლოო შეფასებაზე კიდევ ერთხელ გასვლის საშუალება კურსის გამეორების გარეშე. შეფასების სისტემაში ქულები გადანაწილდება შემდეგი სქემის მიხედვით:

(A) 91-100 ფრიადი

(B) 81-90 ძალიან კარგი

(C) 71-80 კარგი

(D) 61-70 დამაკმაყოფილებელი

(E) 51-60 საკმარისი

(FX) 41-50 ვერ ჩააბარა, სტუდენტს ეძლევა საბოლოო გამოცდის გადაბარების უფლება

(F) 0-40 ჩაიჭრა, სტუდენტმა კრედიტის მიღებისათვის თავიდან უნდა გაიაროს კურსი

5. თუ სტუდენტს შუალედური შეფასებებით დაგროვილი აქვს ერთ-ერთი დადებითი შეფასებისთვის საკმარისი ქულათა ჯამი (მინიმუმ 51ქულა), მას უფლება აქვს, არ გავიდეს საბოლოო შეფასებაზე (თუ სილაბუსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული).

6. შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი წარმოდგენილი უნდა იყოს თითოეული კურსის სილაბუსში და უნდა ეცნობოს სტუდენტს სემესტრის დასაწყისში.

7. შეფასების მეთოდები უნდა შეესაბამებოდეს სილაბუსით განსაზღვრული სწავლის შედეგებს.

8. წარჩინების დიპლომი გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ სტუდენის საბოლოო შეფასებები კურსების 80%-ში არის არანაკლებ 91 ქულისა და დანარჩენ კურსებში -არანაკლებ 81 ქულისა.

9. ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტებს, ვინც სასწავლო წლის განმავლობაში ვერ დააგროვა სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კრედიტები, მიეცეთ შესაძლებლობა სურვილის შესაბამისად ხელახლა გაიარონ კურსი შემოდგომის ან გაზაფხულის სემესტრის განმავლობაში.

10. 2008-2009 სასწავლო წლის მეორე სემესტრის ჩათვლით ჩარიცხული სტუდენტი, რომელმაც ვერ მიიღო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კრედიტები და უწევს კურსი/კურსები გაიაროს **ხელახლა** ან რაიმე მიზეზის გამო **დამატებით** ჭირდება ახალი პროგრამით გათვალისწინებული კურსის/კურსების გავლა, ვალდებულია გადაიხადოს თითოეული კრედიტის საფასური **15** ლარის ოდენობით. ***(ცვლილება 2012 წლის 20 იანვრის № 59 სხდომის ოქმით)***

11. უნივერისტეტში 2009-2010 სასწავლო წლიდან აღდგენა/ გადაყვანის წესით ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ჩარიცხული სტუდენტები და ის სტუდენტები, რომლებიც 2005 წლამდე ჩაირიცხნენ იმ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომელთა რეორგანიზაციის შედეგად 2006 წლის 15 თებერვალს შეიქმნა ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იხდიან იმ გადასახადს, რასაც იხდიან შესაბამისი კრედიტების რაოდენობის მქონე სხვა სტუდენტები.

მაგ: 2009 წლის ზაფხულში მობილობით ჩარიცხული სტუდენტი, ან 2005 წლამდე ჩარიცხული სტუდენტი, 60-ზე ნაკლები კრედიტის აღიარების შემთხეევევაში იხდის 2009-2010 სასწავლო წლის პირველი კურსისათვის შესაბამისი გადასახადის, 2250 ლარის პროპორციულ თანხას.

12. კურს(ებ)ის ვერ დაძლევის და განმეორების ან დამატებითი კურს(ებ)ის გავლის შემთხვევაში, მე-11 პუნქტით განსაზღვრული სტუდენტები იხდიან კრედიტების საფასურს სწავლის სემესტრული გადასახადის პროპორციულად.